# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №261

ქ. თბილისი

22 ოქტომბერი 2018 წ.

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,აგრო შოპ“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაგრატ თუთაშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **‘საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

*1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)*

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): (საკუთარი სახსრებით) 50 კგ. კირის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. CPV კოდრი - 44921200.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 50.00 (ორმოცდაათი) ლარს (ერთი კგ. კირის ღირებულება შეადგენს 1,00 ლარს).

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

*3. შესყიდვის ობეექტის ხარისხი*

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს.

*4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N140ა.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის **2018 წლის 22 ოქტომბრიდან 2018 წლის 27 ოქტომბრამდე.**

*5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი*

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი გოდერძი მადურაშვილი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი

საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 6. ანგარშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.6 იმ თემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## *9. ხელშეკრულოების მოქმედების ვადა*

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 22 ოქტომბრიდან 2018 წლის 30 ნოემბრამდე.

## *10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *11. ფორს–მაჟორი*

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას
, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინრება ასეთი გარემოებების და მათი გამომეწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## *12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის დეფექტის სათანადო მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. ინტერესთა კონფლიქტი*

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## *15. სხვა პირობები*

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთნ ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თნაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთნ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა, ს/კ 209467646;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა/ა 709097519
ორგანიზაციული კოდი 32030111

**დირექტორი: ნონა ღუღუშაური**

**(ხელმოწერა)**

**მიმწოდებელი:**
შპს ,,აგრო შოპ", მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N140ა.
ს.ს.თიბისი ბანკი, ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE58TB7682636020100005
ს/კ 429652707

**დირექტორი: ბაგრატ თუთაშვილი**